საქართველო
სანოტარო აქტი

ორი ათას ოცდახუთი წლის ხუთ დეკემბერს მე, ნოტარიუსს, ნინო მასხულიას, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ.თბილისი, შალვა დადიანის ქუჩა №12, მომმართა ქალბატონმა **ინგა აგაჯანოვამ**. მან განაცხადა, რომ არის ქალბატონი **ნონა აგაჯანოვას, პ/ნ 720711146**, მინდობილი პირი. გამოხატა წინამდებარე თანხმობის შედგენისა და მასზე თავისი ხელმოწერის წამდვილობის სანოტარო წესით დამოწმების ნება.

მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე წამდვილად მომმართა ქალბატონმა **ინგა აგაჯანოვამ**, დაბადებულმა 1961 წლის 30 სექტემბერს თბილისში; პირადი №01017014644, რეგისტრირებულმა ქ.თბილისში, გიზო ნიშნიანიძის ქუჩა №13–15/3, ბინა 33.

მე მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. შევადგინე წინამდებარე თანხმობის პროექტი, რომელიც წაიკითხა ქალბატონმა ინგა აგაჯანოვამ და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგი შინაარსის თანხმობას:

თ ა ნ ხ მ ო ბ ა

მეიჯარის, ქ.თბილისში, ამაღლების ქუჩა (ყოფ. დავითაშვილი), N12, სადარბაზო 3, სართული 1, 86.31 კვ.მ №29 საოფისე ფართის (საკადასტრო კოდი: 01.15.05.092.014.01.029) მესაკუთრის, **ნონა აგაჯანოვას, პ/ნ 720711146**, მინდობილი პირი (მინდობილობის რეგისტრაციის ნომერი: 140230309, ინდივიდუალური ნომერი: 19065378606114) **ინგა აგაჯანოვა**, პირადი №01017014644, მიმნდობის, ნონა აგაჯანოვას სახელით ვადასტურებ, რომ ნონა აგაჯანოვა თანახმაა მოიჯარემ, შპს „გასტრონომ საქართველო“–მ, საიდენტიფიკაციო №418473547, საიჯარო ფართზე განახორციელოს წარმოდგენილი ფოტომონტაჟით (იხ. დანართი #1) გათვალისწინებული ჩასატარებელი სამუშაოები სრულად, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პროცედურებისა და წესების შესაბამისად.

აღნიშნული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, თანახმაა მოიჯარემ შპს–მ „გასტრონომ საქართველო“, ს/ნ 418473547, ხელი მოაწეროს მასთან დაკავშირებულ ნებისმიერ აქტს, დოკუმენტს და განახორციელოს ნებისმიერი მოქმედება, რაც პირდაპირ არ არის მითითებული თანხმობის წერილში, მაგრამ საჭიროა უფლებამოსილების განხორციელებისთვის.

ამასთან, მეიჯარე თანახმაა, რომ მოიჯარემ შპს–მ „გასტრონომ საქართველო“, ს/ნ 418473547, წინამდებარე დოკუმენტი წარადგინოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში ან/და უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში და კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად სრულად განახორციელოს ფოტომონტაჟით (დანართი #1) გაცემულ სამუშაოებთან დაკავშირებით მათთვის მინიჭებული უფლებები. დანართი N1. ფოტო - მონტაჟი.

გადახდილია 23,88 ლარი - აქედან: საზღაური 6,00 ლარი ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმებისათვის, 10,00 ლარი პროექტის შედგენისათვის „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილების 31.3 და 31.14 მუხლების საფუძველზე, 5,00 ლარი რეგისტრაციის საზღაური, ამავე დადგენილების 39-ე მუხლის საფუძველზე, ხოლო 2,88 ლარი დღგ, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა.

ნონა აგაჯანოვას სახელით,
მინდობილი პირი
ინგა აგაჯანოვა ———— ინგა აგაჯანოვა

ნოტარიუსი: ნინო მასხულია


გასტრონომი - ამაღლების ფილიალი

გასტრონომი GASTRONOME


130 cm
580 cm
20 cm
110 cm
240 cm
530 cm

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N251664103
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	05.12.2025
სანოტარო მოქმედების დასახელება	განცხადების პროექტის შედგენა და ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	ნინო მასხულია
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ.თბილისი, შალვა დადიანის ქუჩა N12.
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2997150
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	33466590276225

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18